

მერაბ ლაღანიძე
(საქართველო)

**მეფე დიმიტრი თავდადებული და „მეფე დიმიტრი თავდადებული“:
ისტორიული მონაცემები და ლიტერატურული თხრობა**

ნაწილი პირველი

სიცოცხლის მიწურულს, გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე (სავარაუდოდ, 1902 ან 1903 წელს), ილია ჭავჭავაძე იგონებს სიყმაწვილისას ათვისებულ იმ ცოდნას, რომელიც მას შეუძენია სოფლის მთავარდიაკვნი-საგან, ვისაც არა მარტო წერა-კითხვა და საღმრთო წერილი უსწავლებია მისთვის, არამედ ამბებიც მოუყოლია, – რა თქმა უნდა, მარტივად და გასაგებად, – ეროვნული ისტორიიდან: „სწავლა 8 წლისამ დავიწყე ჩვენი სოფლისავე მთავართან – ქართული წერა-კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული სამღვთო წიგნების კარგად მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო სამღვთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად. ბევრი ამ ამბავთაგანი ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის – „დიმიტრი თავდადებული“ – თემად გამოვიყენე მრავალის წლის შემდეგ“ (ჭავჭავაძე 2007ბ: 443-444).

ილიას თანამშრომელი და ახლობელი, მისი ბიოგრაფი, გრიგოლ ყიფშიძე ეჭვს არ გამოთქვამს, რომ „რა თქმა უნდა, ჩჩვილ ყმაწვილის ბუნებაში ღრმად ჩაიმარხებოდა ეს ამბები და წაუშლელს კვალს დასტოვებდა მის სულში“ (ყიფშიძე 2022: 24), რაც მას საფუძვლიან ახსნად მიაჩნია, რათა სიყმაწვილისდროინდელი ეს ხსოვნა ბიძგი გამხდარიყო პოეტისათვის, მოგვიანებით, 1877-1879 წლებში, დაეწერა პოემა „დიმიტრი თავდადებული“: „აკი თვითონვე ჰმოწმობს, ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის „დიმიტრი თავდადებული“ თემად გამოვიყენე მრავალ წლის შემდეგაო (1877 წ.)“ (ყიფშიძე 2022: 24).

მართალია, სიყრმისდროინდელი ცოდნის გახსენება-გაცოცხლება და მისი გარდაქმნა მხატვრულ ნაწარმოებად უჩვეულოს არაფერს შეიცავს, მაგრამ ილია ჭავჭავაძის მიერ ამ შინაარსის, ამ მიზანსწრაფვის ტექსტის დაწერა და გამოქვეყნება მაინც გასაკვირად ყოფილა აღქმული მის ირგვლივაც თუ უფრო მოშორებითაც, რაკი, იმავე ყიფშიძის დამოწმებით, პოემის დაბეჭდვას მეტად შეშფოთებული გამოხმაურება მოჰყოლია: „დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაშინდელ მწერალთა და ახალგაზრდათა პატარა წრეში. ილიას დააბრალებს შეცვლა პოზიციისა, წარსულისკენ ცქერა, ცარიზმის პრინციპების მომხრეობა და იდეალიზაცია“ (ყიფშიძე 2022: 68); კიდევ მეტი, ილიასა და მის თანამოაზრეებს დასწამეს, რომ „ძველ დროს შესტრფიან, საფლავებისაკენ მიუბრუნებიან პირი, რაღაც „სექტა“ შეუქმნიათ, საკუთარი სინდრიონი ჰყავთ, მოძულე სინათლისა, ლიბერალიზმისაო. ენა მათი ხომ ანტონ კათალიკოზის ენაა, ძველისძველი, დაობებული, გაუგებარიო“ (ყიფშიძე 2022: 68-69).

იმჯერად, 1913 წელს, ილიას ბიოგრაფიის ავტორს სავსებით საკმარისად მიაჩნდა, პოეტის შემოქმედებითი შთაგონების მთავარ წყაროდ – „დიმიტრი თავდადებულის“ წერისას – წარმოედგინა ის გრძნობები, რომელიც პოემის შემქმნელს სიყმაწვილისას აღსძვროდა, რის გამო იმის საჭიროებაც გამქრალა, დასახელებულიყო ამგვარი თემის შერჩევის რამე სხვა მიზეზი. თუმცა მანამდე, უფროსი მეგობრის გარდაცვალების უმალ, ყიფშიძის მიერ დაწერილ-გამოქვეყნებულ ცალკე სტატიაში, – “ილია ჭავჭავაძის ხსენებას” (1907), – იგი მაინც საგანგებო განმარტებას მოუძებნის ამ თითქოს მოულოდნელ არჩევანს: „დიმიტრი თავდადებულის“ შექმნა აიხსნება მით, რომ ილია ერთხანად დიდად გაიტაცა ჩვენმა [sic!] ისტორიულ ქრონიკის „ქართლის ცხოვრების“ კითხვამ“ (ყიფშიძე 2022: 138).

თუმცა უნდა ითქვას, რომ თავად პოეტს არსად უხსენებია თავისი პოემის რომელიმე წერილობითი წყარო, მათ შორის, არც “ქართლის ცხოვრება” და, მისივე საგანგებო აღნიშვნით, უპირველესი ბიძგი მისთვის ყოფილა ზეპირი წყარო, ანუ სიყმაწვილეში მოსმენილი მთავარდიაკვნისეული გადმოცემა, რომლითაც მას მოგვიანებით, ზრდასრულობაში უსარგებლია.

ყოველი შემთხვევისას, ცხადად დასტურდება, რომ ილიას მიერ ამ პოემის დაწერა, ასეთი თემატური გადაწყვეტილება არცთუ მოსალოდნელი და ჩვეულებრივი ყოფილა, რის გამო მის ბიოგრაფს საჭიროდ მიუჩნევია, თავისი ახსნა ჩამოეყალიბებინა, თუმცა განმარტების ეს ადრეული ვერსია (რომ ნაწარმოები დაწერილია მწერლის მიერ „ქართლის ცხოვრების“ გატაცებული კითხვის შედეგად), ჩანს, თავადვე მეტად მარტივად და არადამაჯერებლად მიუჩნევია, და შემდგომ, მის ვრცელ ბიოგრაფიაში, რომელიც

ექვსი წლის შემდეგ არის დაწერილი, სრულებით გამქრალა ამგვარი მსჯელობა და მისი კვალიც აღარსად გამკრთალა.

თუმცა კითხვა მაინც კითხვად რჩებოდა, რაკი ილიას პოეტური შემოქმედება არ გამოირჩევა შესამჩნევი მრავალრიცხოვნობით და, მით უმეტეს, მისი პოემების რაოდენობა სულ რამდენიმე ტექსტით ამოიწურება, ხოლო მიზნები, რამაც განაპირობა საგანგებო პოემის მიძღვნა მეფე დიმიტრი თავდადებულის მოწამებრივი სიკვდილის აღსაწერად, მაინც და ისევ ხელახალ გააზრებას საჭიროებს.

ნიშანდობლივია, რომ ილიას გარდაცვალებიდან სამი ათეული წლის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილიც გამოხმაურებია ამ საფიქრალს და თავის საგანგებო ნარკვევში, – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ (1938), – მას, უწინარეს ყოვლისა, უცდია, დაემორებინა ილიასეული ისტორიული კონცეფციისაგან ილიას შემოქმედება: „მე მგონია, რომ ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციისა და მისი მისი მოღვაწეობის ამ დარგში მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ჩვენი მგოსნის ისტორიული პოემების გამოყენება არც საჭიროა და არც მართებული. პოემები ხომ არსებითად მხატვრული ნაწარმოებებია და მიზნადაც იქ ავტორს საქ. [sic!] ისტორიის დაწერა არ ჰქონია დასახული“ (ჯავახიშვილი 1956: 76).

მიუხედავად ამ გამიჯვნისა, ივანე ჯავახიშვილმა მაინც მოინდომა, აეხსნა, თუ რამ განაპირობა, რომ პოეტმა საგანგებო თხზულება მიუძღვნა შორეული ხანის მონარქს, ქვეყნის ოდინდელ მმართველს, მეფე დიმიტრი თავდადებულს: „საქართველოს ისტორიითგან ილ. ჭავჭავაძემს [...] ერისთვის თავგანწირულობა ჰხიზლავდა. ცნობილია, რომ მისი ისტორიული პოემის „დიმიტრი თავდადებული“-ს დედააზრი და სულისკვეთება სწორედ ეს არის: ქართველი ერის, უდანაშაულო ხალხის მონღოლთა ყენისაგან განადგურებას დიმიტრიმ ხომ თავისი სიცოცხლის განწირვა არჩია“ (ჯავახიშვილი 1956: 84).

ამდენად, ისტორიკოსს მიაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძისათვის გადამწყვეტი აღმოჩენილა ამ ისტორიული მოვლენის ის ზნეობრივი მუხტი, რაც პოემიდან გამოსჭვიოდა: საკუთარი თავის დაუზოგავობა ერისათვის, ერის საჭიროებათა უფრო მაღლა დაყენება პირად საჭიროებასთან შედარებით. შესამჩნევია, რომ „ქართველი ერის ისტორიის“ ავტორი მოვლენის აღსაწერად მსჯელობას წარმართავს ერისათვის, – და არა ქვეყნისათვის, – თავდადებას გამო.

სიმართლე რომ ითქვას, ილიაც თავის ავტობიოგრაფიაში სწორედ ამ მიმართულებით წარმოაჩენს თავის შემოქმედებითს მისწრაფებას: რომ მას გულში ჩარჩენია იმათი ქმედება, – და, მათ შორისაა მეფე დიმიტრიც, – ვისაც

ღვაწლი დაუთესავს “სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად“ (ჭავჭავაძე 2007ბ: 444).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილი, მწერლისაგან განსხვავებით, სტალინიზმის ზეობის ხანაში, ბუნებრივია, დიდად ვერ გამახვილებდა ყურადღებას მეფის მიერ სარწმუნოების დაცვაზე, რის გამოც შესაძლებლად მიიჩნევდა, გამოეკვეთა თავდადება მხოლოდ ერისათვის. მაგრამ მაინც, განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ ისტორიკოსი თავისი ისტორიული თხრობისას, – ილიასაგან სავსებით განსხვავებით, – საგანგებო ყურადღებას მიაქცევდა დიმიტრის მეტად გულგრილ დამოკიდებულებას ქრისტიანობისა და ეკლესიის მიმართ: „თუ თანამედროვე ისტორიკოსი მის პიროვნებას წარმოადგენს ისევე, როგორც სინამდვილეში და თავის ყოველდღიურს საქმიანობა-მოღვაწეობაში მოჩანს, უნდა ითქვას, რომ დემეტრე II-ის დამოკიდებულება ქრისტიანული მოძღვრებისადმი ძალზე შერყეული ყოფილა. მის გულში ეკლესიისა და მისი, როგორც მწყემსთმთავრისა, ისევე მოძღვართადმი, ოდნავი პატივისცემაც-კი არ ჩანს“ (ჯავახიშვილი 1982: 117).

კიდევ მეტი, ივანე ჯავახიშვილის აღწერით, როცა ისტორიკოსი სულაც არ მალავს თავის აღტაცებულ დამოკიდებულებას, დიმიტრის თავგანწირვას განაპირობებდა მისი მხოლოდ პიროვნული, ზნეობრივი მიზანსწრაფვა, სადაც სრულიად გაუჩინარებულია მეფის ქმედების რელიგიური საყრდენი, სარწმუნოებრივი წადილი: „დემეტრე II-ის ქცევამ იმ საბედისწერო შემთხვევაში, როდესაც მას უნდა საბოლოოდ გადაეწყვიტა, თავისი პირადი სიცოცხლის გადარჩენაზე ეზრუნა და ამისთვის თუნდაც უდანაშაულო ქართველი ერის კეთილდღეობა და სიცოცხლეც-კი მსხვერპლად შეეწირა, თუ პირიქით, სიკვდილის აუცილებელ სასჯელს არ შეჰშინებოდა და თავისი პირადი მოქმედებისათვის პასუხსაგებად, ხალხის გადარჩენის მიზნით, რაინდული სიმამაცით მტრის წინაშე წარმდგარიყო, დემეტრე II-ის პატიოსანი ბუნება და მაღალი ადამიანური თვისებები სრული სიცხადით გამოჩვენდა. მის ნაბიჯს, უეჭველია, პირადი პასუხისმგებლობის ღრმა ზნეობრივი შეგნება და თავგანწირულების მომხიბვლელობა ასხივოსნებს“ (ჯავახიშვილი 1982: 119).

მაინც, რა იყო ილიასეული ეს კონცეფცია საქართველოს ისტორიის ან, უფრო კერძოდ, ქართული ისტორიოგრაფიის შესახებ (ანდა, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, „ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფცია“ – ჯავახიშვილი 1956: 76), რომელიც, გავრცელებული აზრით, გარკვეულწილად დაუპირისპირდა „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ სულისკვეთებას და რამაც გაკვირვება თუ აღშფოთება გამოიწვია პოეტის თანამედროვეთა შორის, ან,

კიდევ, რამაც მისი სიკვდილის შემდეგაც კი მისი თემატური არჩევანის აუცილებელი ახსნა მოითხოვა?

თავისი ეს დამოკიდებულება ქართული ისტორიოგრაფიის მიმართ (რომელიც მოკლედ „ისტორიად“ მოხსენიება) ილიას მკაფიოდ გამოუხატავს პირადადაც და საჯაროდაც.

თავის წერილში დავით ერისთავის მიმართ (ივლისი, 1872) იგი წერდა: „ეგ ჩვენი ოხერი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიმიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენ ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსათ არი (ჭავჭავაძე 2012: 34).

რამდენიმე წლის შემდეგ, მსგავსი აზრი ილიას გამოუთქვამს თავის ერთ ანონიმურ და უსათაურო სტატიაში, რომელიც მოწინავედ დაბეჭდილა გაზეთ „დროებაში“ (იანვარი, 1880): „ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია ბნელია და შეუქმნადელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენი შიდაცხოვრების ისტორია ჯერ ფარდააუხდელია და უცნობია ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაო კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თვითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდასაქმეთა“ (ჭავჭავაძე 1997: 336)¹.

აღსანიშნავია, რომ თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას „ქართლის ცხოვრების“, ქართული ისტორიული ქრონიკების მიმართ, დადასტურებულს რამდენჯერმე, ილია ჭავჭავაძე სწორედ იმ წლებში გამოხატავს, როცა „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ დასაწერად ემზადება ან უკვე დაწერილი აქვს. კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, პოეტი საგანგებოდ აღნიშნავს პოემის შთაგონების მხოლოდ ზეპირ წყაროს, რითაც შესამჩნევად გამორიცხავს სხვა, წერილობითს წყაროს, ანუ საისტორიო მატრიანეთა თხრობას (სხვათა შორის, არასოდეს არსებულა რამე ჰაგიოგრაფიული შინაარსის ტექსტი ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული მეფე-მოწამის შესახებ – გაბიძაშვილი 2010ა: 145-206; გაბიძაშვილი 2015: 11-138; და, კიდევ მეტი, მისი სახელი არც კი ყოფილა შეტანილი საეკლესიო კალენდარში წმიდანთა შორის – გაბიძაშვილი 2010ბ: 423-447).

სავარაუდოა, რომ პოემის შინაარსის მთლიანად ხალხურ წყაროებზე დაყრდნობის მკაფიოდ გამოსახატავად პოეტმა უმჯობესად მიიჩნია, ამბის თხრობა სრულად გადაეცა სახალხო-საერო მთქმელისათვის, მეფანტური-სათვის, რისთვისაც მან გამოიყენა სიჭაბუკისას დაწერილი საკუთარი ლექსი „მეფანტურე“ (1860) (ჭავჭავაძე 1987: 109-110), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოუქვეყნებლად იყო დატოვებული. ამდენად, არ არსებობდა არავითარი დაბრკოლება, ეს დაუბეჭდავი ტექსტი ავტორს პოემის შესავალ ნაწილად ექცია: მოგვიანო დროის ეპიკურ ნაწარმოებში ამ ადრეული თხზულებიდან გადმოტანილია თავად პერსონაჟიც და თითქმის მთლიანი ტექსტიც, – უმეტესად უცვლელად. კიდევ ერთხელ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „მეფე დიმიტრი თავდადებულში“ ამბავს ჰყვება არა უშუალოდ ავტორი, არამედ საჯარო მთქმელ-მთხრობელი, რომელიც არა წიგნიერ (ან თუნდაც ზედაფენების) დამოკიდებულებას გამოხატავს მეფისა და მისი მოწამებრივი სიკვდილის მიმართ, არამედ ასახავს საჯაროდ („სახალხოდ“) გავრცელებულ ან გასავრცელებლად გამიზნულ აღქმასა და ხედვას.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიმიტრი თავდადებული ნახსენებია ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ ადრეულ ვერსიაში, რომელიც ავტორს 1859 წლით დაუთარიღებია, თუმცა ეს სტრიქონები შემდგომ აღარ შესულა პოემის ავტორისეულ საბოლოო ვერსიაში:

ნუთუ ეს ხალხი, რომელთ დაჰბადეს
დავით, დიმიტრი, დიდი თამარი,
რუსთველი და მის ძლიერი ქნარი, –
ნუთუ ეს ხალხი აღარა აღგზდგეს?
(ჭავჭავაძე 1987: 464).

როგორც მკაფიოდ ჩანს, დიმიტრი (რომელიც მოხსენიებულია თუნდაც მხოლოდ სახელით, მაგრამ სავსებით გამორიცხულია, იგულისხმებოდეს სხვა ვინმე, დიმიტრი თავდადებულის გარდა) მოთავსებულია მეტად საპატიო ისტორიულ გარემოცვაში – დავით აღმაშენებელსა და თამარს შორის, ხოლო ხელმწიფეთა სამეულის ამ ჩამონათვალს უშუალოდ მოჰყვება კიდევ ერთი პიროვნება (შემდგომ – სხვა არავინ!): რუსთველი. საგულვეტელია, რომ უკვე ჭაბუკი ილია განსაკუთრებულ, გამორჩეულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა მეფე დიმიტრის მიმართ, თორემ, ჩვეულებრივ, ქართულ ისტორიულ თუ ლიტერატურულ ტექსტებში მოწამე მეფე არსად მოიხსენიება ხოლმე ამგვარ, გამორჩეულად საპატიო გარემოცვაში (საერთოდ, ტრადიცი-

ული სამეფო სამეულია: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი – ვახუშტი 1973: 292).

აღსანიშნავია, რომ „აჩრდილის“ ერთ ადრეულ, ასევე გამოუქვეყნებელ ვერსიაში კიდევ ერთხელაა ნახსენები, – ამჯერად ცალკე და თავისი გავრცელებული ზედწოდებით, – დიმიტრი თავდადებული:

განა დიმიტრი თავდადებული
იქნება როსმე დავიწყებული?
(ჭავჭავაძე 1987: 460).

ყურადღებას იპყრობს ის ვითარებაც, რომ „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ თხრობაში მეფის სახელი, თავდაპირველი ხსენება-სახელდების შემდეგ, იშვიათად, სულ რამდენჯერმე გაკრთება, რაც, ბუნებრივია, ირიბად გამოხატავს თუ მიანიშნებს, რომ ხელმწიფის სახე, შეძლებისდაგვარად, გადაყვანილია მითოსის, ან, უფრო ზუსტად, ლეგენდურ გარემოში, რაც იძლევა საშუალებას, მიენიჭოს მას ფართო განზოგადება: იგი წარმოჩენილია როგორც მეფე. კიდევ, პოემაში, შესავლის მომდევნოდ, ხელმწიფის გარეგნობის აღწერისა და ცხოვრების წესის მოკლედ გადმოცემის შემდგომ, უმაღლესი იწყება თხრობა მისი მოწამებრივი გზის შესახებ, მტარვალთან დაბარებიდან სიკვდილით დასჯამდე: იგი წარმოჩენილია როგორც წამებული.

ამდენად, ცხადად ჩანს, რომ მეფე-მოწამე, როგორც პერსონაჟი, მწერლის ჩანაფიქრით, ნამდვილად გამოხატავს ნიმუშს. შეიძლება ითქვას, რომ იგი იდეალური გმირია, დაცლილი ყოველივე შემთხვევითისა და უმნიშვნელო-არაარსებითისაგან, რამაც განაპირობა, რომ ის მრავალი არსებითი ცნობა (ზოგჯერ – არცთუ დადებითი მიმართულებისა!), რომლებიც მოიპოვება მეფე დიმიტრი მეორის შესახებ ისტორიულ ქრონიკებში, ავტორისეული ყურადღების მიღმა აღმოჩნდა პოემაში. ნაწარმოების ტექსტში ჩნდება მხოლოდ გმირის სტანდარტული მახასიათებლები: იგი ბრწყინვალეა გარეგნობით („მხარბეჭპრტყელი, ტანმაღალი“; „თვალად, ტანად მშვენიერი“), უბადლოა ვაჟკაცობით („ჯირითსა თუ მშვილდ-ისარში არავინ ჰყავდა ბადალი“), დაუნდობელი – მტრის მიმართ („რისხვით მტრისა მსრველი“) და შემწყნარებელი – ქვეშევრდომთა მიმართ („მოწყალე, ღვთისნიერი“), კიდევ, იგი განსაკუთრებით ახლობელი და მზრუნველია სამეფოში მცხოვრები რიგითი ადამიანების მიმართ, რომელთაც, იდუმალი დამეული შეხვედრების შედეგად, უშუალოდ იცნობს, ყურს უგდებს მათს საწუხარს და თავად ურიგებს მათ საზრდოს. შედეგად, მისი მმართველობისას ქვეყანაში, ჩანს, დამყარებულა იდილიურ-უტოპიური ცხოვრება, სადაც „თხა და მგელი ერთად სძოვდა“

(ბიბლიურ-„ვეფხისტყაოსნისეული“ გადამახილით) და სადაც მოსახლეობის ყველა ფენა („ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი“) უაღრესად მაღლიერია მეფის მიმართ (ჭავჭავაძე 1987: 231).

უნდა ითქვას, რომ პოემის პერსონაჟის ცხოვრების ამგვარი თავდაპირველი აღწერა მთლიანად ეფუძნება ისტორიული ქრონიკების მონაცემებს, კერძოდ, მეთოთხმეტე საუკუნის ანონიმური მემატიანის, ჟამთააღმწერლის, ცნობებს მეფე დიმიტრი თავდადებულის შესახებ: „ტანითა ახოვან“, „ბეჭბრტყელ“, „შესახედავად ტურფა“, „ცხენოსანი და მშვლდოსანი რჩეული“, „მოწყალე გლახაკთა და მდაბალი“, ასევე, უწყება მისი ჩვეულების დადასტურებით, ღამდამობით ქალაქის შემოვლისა და ღარიბ-გლახაკთა დაპურების შესახებ. მკაფიო ლექსიკური დამთხვევებიც კი ადასტურებს, რომ თავისი თხზულების წერისას ავტორი არა იმდენად ზეპირ გადმოცემას, რამდენადაც უეჭველად ისტორიოგრაფიულ წყაროს ეყრდნობოდა. ამავე დროს, ნიშნდობლივია, რომ ისტორიკოსისეულ მონაცემთაგან პოეტს უგულუბელყოფილი აქვს მეფის მყარი სარწმუნოებრივი ყოველდღიურობის აღწერა: „მოეგო მარხულობა, ღამით ლოცვა და მუკლითყრა ფრიადი: ათასხუთასი მუკლი მოაგდის მდაბლად მიწასა ზედა“ (ჟამთააღმწერელი 1987: 160-161; ქართლის ცხოვრება 2008: 611; შდრ. ახალი „ქართლის ცხოვრება 2019: 2015-2016; ასევე, ბატონიშვილი ვახუშტი, რომელიც შესამჩნევად უფრო სიტყვაძუნწია მეფე დიმიტრის დახასიათებისას: ვახუშტი 1973: 228). (პოემაში, ასევე, არსად ასახულა მონაცემები მისი შემდგომი დაპირისპირების შესახებ ქრისტიანული ზნეობის მოთხოვნებთან და, შესაბამისად, ეკლესიის წარმომადგენლებთან).

როგორც ჩანს, ნაწარმოებში, ზოგადად, ხელმწიფის ამგვარი აღმატებული, მითოსური წარმოჩენა, რომელიც შეფასებით (ლექსიკურადაც კი!) არანაირად არ განსხვავდება შუასაუკუნეობრივი მემატიანის დამოკიდებულებისაგან, გამხდარა საბაზი, რომ, ილიასათვის, გრიგოლ ყიფშიძის სიტყვებით, დაებრალებინათ „ცარიზმის პრინციპების მომხრეობა და იდეალიზაცია“ (ყიფშიძე 2022: 68). სავარაუდოდ, ამ შემთხვევისას, არ იგულისხმებოდა, კერძოდ, რუსული ცარიზმის ყალიბი, რადგან ამგვარი დადანაშაულება სრული ანაქრონიზმი იქნებოდა საქართველოს მეცამეტე საუკუნის მეფესთან დაკავშირებით, მაგრამ, საფიქრებელია, საყვედური მწერლის მიმართ გამოითქვა ღამის იდეალური მონარქის წარმოჩენისათვის და, შესაბამისად, მონარქიზმის იდეის შესაძლო მხარდაჭერის გამო, რაც ლიბერალურ ფასეულობათა ადამიანისაგან, როგორადაც იმხანად საჯაროდ მიჩნეული იყო ილია ჭავჭავაძე, მოულოდნელად და აღმაშფოთებლადაც კი ჩანდა (ამიტომ საფიქრებელია, რომ „ცარიზმი“ ამ გარემოში უნდა ნიშნავდეს მონარქიზმს).

მით უმეტეს, გასათვალისწინებელია, რომ, 1870-იანი წლები ნამდვილად ის ხანაა, როცა მსოფლიოში სულ უფრო მყარად მკვიდრდება ლიბერალიზმის, რესპუბლიკელობის თუ სოციალიზმის იდეები, რომლებიც იმჟამად თანდათანობით შესამჩნევ გავრცელებას პოვენს საქართველოშიც.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ილია თავისი პოემის დასაწყისშივე იძლევა სანიმუშო, მისაბამი მეფის სახეს, გმირი თითქოს განმარცვულია საგანგებო მეფური მახასიათებლებისაგან და, უწინარესად, დახატულია როგორც სამშობლოსა და მშობლიური ხალხისათვის თავდადებული, თავდაუზოგავი ადამიანი, რომლის გააზრებული არჩევანიც და უკანდაუხეველი, უდრევი ქმედებაც განაპირობებს მის აღიარებას წმიდანად.

აღსანიშნავია, რომ პოეტის შთაგონების კიდევ ერთი წყარო, როგორც ჩანს, სამუდამოდ ამოუცნობად რჩება. „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ ავტოგრაფული ხელნაწერი ილია ჭავჭავაძეს თავისი თანაგომნაზიელისა და ახლო მეგობრისათვის, პეტრე ნაკაშიძისთვის (1838-1895), ამგვარი წარწერით მიუძღვნია: „ძმაო პეტრე! შენგან შთაგონებულს შენადვე გიძღვნი“ (ჭავჭავაძე 1987: 511). ამჟამად, შეუძლებელია, მკაფიოდ განისაზღვროს და ვარაუდის ფარგლები დატოვოს მსჯელობამ, თუ რას ნიშნავდა ნამდვილად ეს „შთაგონება“ და რაგვარი მონაწილეობა მიიღო ნაკაშიძემ იმ გადაწყვეტილებისას, როცა პოეტი თავისი ნაწარმოების შექმნას შეუდგა.

პოემის გამოქვეყნების შემდეგ კი, მომდევნო ათწლეულში, 1886 წლის 1 ივლისის „ივერიაში“ გაზეთის მეთაურად იბეჭდება ანონიმური და უსათაურო სტატია, რომელიც შეეხება წმიდა მეფე ლუარსაბ წამებულს და მოიხსენიებს მის ღვაწლს. ტექსტის ავტორად პავლე ინგოროყვამ ილია ჭავჭავაძე მიიჩნია (უნდა ითქვას, სავსებით დასაბუთებულად!), ხოლო თავად სტატია ამგვარად შეაფასა: „წერილი „ლუარსაბ წამებული“ წარმოადგენს ერთგვარს pendant-ს ილია პოემისას „დიმიტრი თავდადებული“ (ინგოროყვა 1955: 399). აღსანიშნავია, რომ ინგოროყვასეული სტილისათვის არცთუ იშვიათია ცნება „pendant“, რომელიც, ტერმინოლოგიური მნიშვნელობით, ისტორიულიტერატურულ კონტექსტში, აღნიშნავს წყვილ მოვლენათაგან ერთ-ერთს. ამდენად, ილიას ნაწერების გამომცემლისა და მკვლევრისათვის მჭიდრო კავშირი ამ ორ ტექსტს შორის უეჭველი ყოფილა.

მართლაც, სტატია ქართლის მეფის, ლუარსაბ წამებულის (1592-1622), შესახებ შესამჩნევად ეხმაურება პოემას „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

საგაზეთო წერილის ავტორს საჭიროდ მიაჩნია, გაიხსენოს წარსულის გამორჩეული გმირი, – ეროვნული გმირი, საქართველოს გმირი, სავსებით დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა პოლიტიკური მდგომარეობა ეკავა მას სიცოცხლის განმავლობაში: „დღეს ერთი საქართველოს გმირთაგანი გავიხ-

სენეთ, იგი გმირი, რომელმაც სთქვა: რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინო, – წავიდა და წამებულის გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი, ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა“ (ჭავჭავაძე 2007ა: 143).

რაკი გამოთქმული თვალსაზრისი შეეხება ლუარსაბის თავდადებას ქვეყნის გადასარჩენად, მისი მტკიცე არჩევანის საფუძვლად მიჩნეულია ერთგულება სამშობლოსა და სარწმუნოების მიმართ, სწორედ რომელთა სახელითაც განპირობებული იყო გმირის თავგანწირული საქციელი.

თავის სტატიაში ილია აზოგადებს „ქვეყნისა და რჯულისათვის წამებულის მეფის“ (ჭავჭავაძე 2007ა: 143) ქმედებას, რომლის საფუძველს იგი პოულობს რწმენაში, – არა ოდენ რელიგიური სარწმუნოების თვალსაზრისით, არამედ, ზოგადად, ფართოდ, იმ რწმენაში, რომელიც, – მეფე ლუარსაბისნაირი გამორჩეული შემთხვევებისას, – მიღებულ გადაწყვეტილებათა მტკიცე საყრდენს წარმოადგენს: „მხოლოდ დიდბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისიგა ნიშნად იმისა, რომ ჭემმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე“ (ჭავჭავაძე 2007ა: 143).

ამდენად, გულითადი განზრახვა, ჩასახული იმთავითვე, ცხოვრებისეულ ღირებულებათა გარკვევა-გამიჯვნისას, ქცეული „სიცოცხლის საგნად“, აღმოჩნდა უფრო ღირებული, უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ძვირფასი, ვიდრე პირადი სიცოცხლე.

საგაზეთო სტატიაში მეფე ლუარსაბ წამებულის შესახებ პოეტმა, – ისევე როგორც პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“, – ასახა ქვეყნისათვის თავდადება, გადაწყვეტილი პირადად და პიროვნულად, მრავალრიცხოვან ქვეშევრდომთა გადასარჩენად, საკუთარი თავის გაწირვის ფასად.

სტატიის წერისას ილია სარგებლობდა ცნობებით მეფე ლუარსაბ მეორის შესახებ (იგი იმოწმებს კათოლიკოს ბესარიონ ორბელიშვილს²) და ასე გადმოსცემს ხელმწიფის განზრახვას, აერიდებინა თავისი სამეფო მტრის სასტიკი ხელყოფისაგან: „უკეთუ არა წავიდე, ამიყრის ქვეყანასა და მოაოხრებს, რა მადლი არს ჩემდა“ (ჭავჭავაძე 2007ა: 142). საგაზეთო სტატიის ამ ფრაზას ცხადად ემჩნევა ლექსიკური თანხვედრაც კი „მეფე დიმიტრი თავდადებულთან“:

წავალ – მომკლავს, და არ წავალ
ამიოხრებს ქვეყანასა (ჭავჭავაძე 1987: 233);

ბოლოს ბძანა: – ეს ქვეყანა
ღვთისაგან მაქვს მონაბარი...
მე დავრჩე და იგი წახდეს,
მითხარით, რა მადლი არი!
(ჭავჭავაძე 1987: 235).

მეფის საქციელი, რომელიც, რა თქმა უნდა, თავისთავად თავგანწირვაა, ამავე დროს, მოწამეობაა, – ქრისტიანული სიქველე-გმირობა, ქრისტიანული თვალსაწიერიდან. ღირსშესანიშნავია, რომ ლუარსაბის საქმის აღწერისას, ქვეყნის ერთგულებასთან ერთად, ილია ჭავჭავაძის მიერ გამოკვეთილია სარწმუნოების ერთგულებაც: იგი არის „ქვეყნისა და რჯულისათვის წამებული“ (ჭავჭავაძე 2007ა: 143); მან „წამებულის გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა“ (ჭავჭავაძე 2007ა: 143). თვალსაჩინოა, რომ, მწერლის აზრით, მეფე ადასტურებს თავის მტკიცე ერთგულებას როგორც ქვეყნის, ისე იესო ქრისტეს, ანუ სარწმუნოების მიმართ.

ადვილად დასანახავია, რომ, განსხვავებით ამ გვიანდელი სტატიისაგან, პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ხელმწიფის თავდადება სარწმუნოებისათვის, ფაქტობრივად, არ აღინიშნება, რასაც ნაწარმოების ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთი მოწმობს: „მოყვასისთვის თავდადება“ (ჭავჭავაძე 1987: 238), „ერს მეფე ვერ ვულალატებ“ (ჭავჭავაძე 1987: 238), „ერისათვის თავსა დავდებ“ (ჭავჭავაძე 1987: 238), „მოჰკვდეს ქვეყნისათვის“ (ჭავჭავაძე 1987: 246),

ხმა გავარდა ქალაქშიაც:
მეფე ჩვენთვის დებს თავსაო,
უშლიდნენ, არ დაიშალა, –
ვერ ვულალატებ ხალხსაო.
(ჭავჭავაძე 1987: 239);

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია.
(ჭავჭავაძე 1987: 245).

თხზულების მიხედვით, მეფე დიმიტრი ნამდვილად, უეჭველად მისდევს ქრისტეს მოწოდებას („მოყვასისთვის თავდადება გვიბრძანაო მაცხოვარმა“ – ჭავჭავაძე 1987: 238), მაგრამ იგი ერთგულებას გამოხატავს და ადასტურებს კიდევ ამ ერთგულებას თავისი თავდადებით სწორედ ქვეშევრდომი ხალხის მიმართ, თუმცა, თავად პოემის ტექსტისაგან განსხვავებით,

სიცოცხლის მიწურულს, თავის ავტობიოგრაფიაში, ილია, საკუთარი ნაწარმოების ხსენებისას, მიიჩნევს, რომ მისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია დიმიტრის ღვაწლი „სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად“ (ჭავჭავაძე 2007ბ: 444).

აღსანიშნავია ისიც, თუკი პოემაში დიმიტრი მეორე ნაჩვენებია როგორც სანიმუშო და გამორჩეული მეფე, სტატიაში, საერთოდ, არ ჩანს ლუარსაბ მეორის სამეფო თვისებები, არსადაა აღწერილი ან შეფასებული მისი სამეფო საქმიანობა, ხოლო ავტორისეული გადამწყვეტი ყურადღება მიჰყოფილია, მისი, როგორც მოწამის, წარმოსაჩენად.

შენიშვნები:

1. შდრ. პავლე ინგოროყვა: „ეს სტატია ავტორის ხელმოუწერლად დაიბეჭდა. რომ იგი ილიას ეკუთვნის, ამას, გარდა სტილისა, ადასტურებს შემდეგი: ამ სტატიის შესავალში ზედმიწევნით იგივე აზრებია გამოთქმული ქართული მატიანეების შესახებ, რაც ილიას ცნობილ წერილში დავით ერისთავისადმი“ (ინგოროყვა 1955: 399).

2. შდრ. ბესარიონ ორბელიშვილი, „ღვაწლი სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი, რომელი იწამა შაჰაბაზ უსჯულომსა მიერ, სპარსთა მეფისა“ (აგიოგრაფია 1989: 33-49); თუმცა ეს ტექსტი ილიას სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი იყო, ხოლო ილიასდროინდელ გამოცემებში – დავით ჩუბინაშვილისეულ „ქართულ ქრისტომატიასა“ (ნაწილი I, 1846) და მიხეილ საბინინისეულ „საქართველოს სამოთხეში“ (1882) – შესულია სხვა ჰაგიოგრაფიული ტექსტები წმიდა არჩილის შესახებ (შესაბამისად, გვ. 321-344; გვ. 580-582).

დამოწმებანი:

Akhali „Kartlis Tskhovreba“: Vakht'angiseuli Redaktsia, T'omi II, T'ekst'i Gamosatsemad Moamzada, Shesavali, Shenishvnebi da Sadzieblebi Daurto Goneli Arakhamiam, Tb., 2019 (ახალი „ქართლის ცხოვრება“: ვახტანგისეული რედაქცია, ტომი II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბ., 2019).

Ch'avch'avadze I. Tkhzulebata Sruli K'rebuli: At T'omad, T'omi IV, Tb.: Sakhelgami, 1955 (ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული: ათ ტომად, ტომი IV, თბ.: სახელგამი, 1955).

Ch'avch'avadze I. Tkhzulebata Sruli K'rebuli: Ots T'omad, T'omi I, Tb.: Metsniereba/Sabch'ota sakartvelo, 1987 (ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული: ოც ტომად, ტომი I, თბ.: მეცნიერება/საბჭოთა საქართველო, 1987).

- Ch'avch'avadze I. Tkhzulebata Sruli K'rebuli: Ots T'omad, T'omi VI, Tb.: Metsniereba, 1997 (ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული: ოც ტომად, ტომი VI, თბ.: მეცნიერება, 1997).
- Ch'avch'avadze I. Tkhzulebata Sruli K'rebuli: Ots T'omad, T'omi VIII, Tb.: Ilias pondi, 2007 (ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული: ოც ტომად, ტომი VIII, თბ.: ილიას ფონდი, 2007).
- Ch'avch'avadze I. Tkhzulebata Sruli K'rebuli: Ots T'omad, T'omi XIV, Tb.: Ilias pondi, 2007 (ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული: ოც ტომად, ტომი XIV, თბ.: ილიას ფონდი, 2007).
- Ch'avch'avadze I. Tkhzulebata Sruli K'rebuli: Ots T'omad, T'omi XVII, Tb.: Ilias pondi, 2012 (ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული: ოც ტომად, ტომი XVII, თბ.: ილიას ფონდი, 2012).
- Dzveli Kartuli Agiograpiuli Lit'erat'uris Dzeglebi, V, Tb.: Metsniereba, 1989 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V, თბ.: მეცნიერება, 1989).
- Gabidzashvili E. „Kartuli Originaluri Hagiografia“, Ts'g-shi: Gabidzashvili E. Shromebi, I, Tb., 2010 (გაბიძაშვილი ე. „ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია“, წგ-ში: გაბიძაშვილი ე. შრომები, I, თბ., 2010).
- Gabidzashvili E. „Kartvel Ts'mindanta da Dghesasts'aula Mosakhsenebeli Dgheebi Dzveli Kartuli Khelnats'erebis Mikhedvit“, Ts'g-shi: Gabidzashvili E. Shromebi, I, Tb., 2010 (გაბიძაშვილი ე. „ქართველ წმინდანთა და დღესასწაულთა მოსახსენებელი დღეები ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით“, წგ-ში: გაბიძაშვილი ე. შრომები, I, თბ., 2010).
- Gabidzashvili E. Dzveli Kartuli Originaluri Sasuliero Mts'erloba da Tkhzulebata Dargobrivi Bibliografia, Tb.: Tbilisi sasuliero ak'ademiisa da seminariis gam-ba, 2015 (გაბიძაშვილი ე. ძველი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია, თბ.: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამ-ბა, 2015).
- Ingoroq'va P. „Saredaktsio Shenishvnebi“, Ts'-shi: Ch'avch'avadze I. Tkhzulebata Sruli K'rebuli: At T'omad, T'omi IV, Tb.: sakhelgami, 1955 (ინგოროყვა პ. „სარედაქციო შენიშვნები“, წგ-ში: ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული: ათ ტომად, ტომი IV, თბ.: სახელგამი, 1955).
- Javakhishvili I. „Kartveli Eris Ist'oria“, Ts'-gni Mesame, Ts'-shi: Javakhishvili I. Tkhzulebani: Tormet' T'omad, T'omi III, Tb.: Tb. sakh. un-is gam-ba, 1982 (ჯავახიშვილი ი. „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მესამე, წგ-ში: ჯავახიშვილი ი. თხზულებანი: თორმეტ ტომად, ტომი III, თბ.: თბ. სახ. უნ-ის გამ-ბა, 1982).
- Javakhishvili I. Kartuli Enisa da Mts'erlobis Ist'oriis Sak'itkhebi, Tb.: Sakartvelos metsnierebata ak'ademiis gam-ba, 1956 (ჯავახიშვილი ი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა, 1956).
- Kartlis Tskhovreba, T'omi IV: Bat'onishvili Vakhusht'i, Aghts'era Sameposa sakartvelosa, T'ekst'i Dadgenili Q'vela Dziritadi Khelnats'eris Mikhedvit S. Q'aukhchishvilis Mier, Tb.: Sabch'ota Sakartvelo, 1973 (ქართლის ცხოვრება, ტომი IV: ბატონიშვილი ვახუშტი, ბატონიშვილი ვახუშტი,

- აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1973).
- Kartlis Tskhovreba, Tb.: Meridiani/Art'anuji, 2008 (ქართლის ცხოვრება, თბ.: მერიდიანი/არტანუჯი, 2008).
- Q'ipshidze G. Ila Ch'avch'avadze, Merab Ghaghanidzis Redaktsiit, Ganmart'ebita da Tandartuli Nark'vevit, Tb.: Sakartvelos p'arlament'is erovnuli bibliotek'a, 2022 (ყოფშიძე გ. ილია ჭავჭავაძე, მერაბ ღაღანიძის რედაქციით, განმარტებითა და თანდართული ნარკვევით, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022).
- Zhamtaaghmts'ereli, Asts'lovani Mat'iane, T'ekst'i Gamosatsemad Moamzada, Gamok'vleva, Shenishvnebi da Leksik'oni Daurto Revaz K'ik'nadzem, Tb.: Metsniereba, 1987 (ყამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ.: მეცნიერება, 1987).

Merab Ghaghanidze
(Georgia)

King Dimitri the Self-Sacrificer and "King Dimitri the Self-Sacrificer": Historical Data and Literary Narrative

Part One

Summary

Key words: poetry, history, king, martyr.

At the end of his life, Ilia Chavchavadze (1837-1907) recalled the knowledge he acquired in his youth from the archdeacon of the village, who not only taught him to read and write and was telling him Biblical stories, but also was describing him stories from national history. Among them was the story of Dimitri the Self-Sacrificer (1259-1289), which later became the basis of Ilia Chavchavadze's long poem "Dimitri the Self-Sacrificer".

Grigol Kipshidze (1858-1921), the writer's biographer and colleague, has no doubt that these stories would have left a deep mark on the writer's soul, which he considers to be a reasonable explanation for the fact that this memory from his youth became an impetus for the poet, when later, in 1877-1879, he wrote the long poem "Dimitri the Self-Sacrificer".

It should be noted that the publication of the text was perceived as unusual both by those around him and further away, as the publication of the poem caused a very concerned response.

The poet himself has nowhere mentioned any written source for his poem, and, by his own special note, the primary impetus for him was the oral source, which he later, in adulthood, had no use for.

In any case, it is clearly proven that when Ilia Chavchavadze wrote this long poem, such a thematic decision was not expected and usual, which is why his biographer felt it necessary to formulate his explanation.

However, the question still remained a question, since Ilia Chavchavadze's poetic work is not distinguished by a noticeable abundance, and, even more so, the number of his long poems is limited to just a few texts, and the goals that led to the dedication of an extraordinary text to describe the martyrdom of King Dimitri the Self-Sacrificer, still need to be reconsidered.

It is likely that in order to clearly express the content of the long poem based entirely on folk sources, the poet considered it best to transfer the narration of the story completely to the folk-secular narrator, Mefanture, for which he used his own poem "Mefanture" (1860), written as a young man. In "The King Dimitri the Self-Sacrificer" the story is told not directly by the author, but by a public speaker-narrator, who does not express a literate (or even superficial) attitude towards the king and his martyrdom, but reflects the perception and vision spread or intended to be spread publicly.

Attention is also drawn to the fact that in the narration of "The King Dimitri the Self-Sacrificer", the personal name of the king, after the initial mention-titles, rarely disappears, at least several times, which, of course, indirectly expresses or indicates that the face of the ruler, as far as possible, is transferred to myth, or, more precisely, in a legendary setting, which allows him to be given a broad generalization: he is represented as a king. Also, in the poem, following the introduction, after describing the ruler's appearance and a brief description of his lifestyle, the narrative of his martyrdom begins immediately, from being called by the torturer to execution: he is presented as a martyr.

Thus, it is clearly seen that the king-martyr as a character, according to the writer's intention, really expresses a pattern. It can be said that he is an ideal hero, devoid of all randomness and insignificant-insignificance, which led to the fact that many essential pieces of information (sometimes – in a rather negative direction!), that can be found in the historical chronicles about King Dimitri II, were left out of

the author's attention in the poem. Only the standard characteristics of the hero as an ideal king appear in the text.

The description of the life of the main character of the long poem is completely based on the data of historical chronicles, in particular, the reports of the anonymous chronicler, by the name of Zhamtaaghmtsereli, of the fourteenth century, about King Dimitri, although the poem does not contain any data about his subsequent conflict with the requirements of Christian morality and, therefore, with the representatives of the Church.

In the text of the long poem, in general, such a superior, mythical representation of the ruler, which is in no way different from the attitude of the medieval chronicler, became an excuse for Ilya Chavchavadze to be accused, in the words of Grigol Kipshidze, of "supporting and idealizing the principles of tsarism". Presumably, in this case, the mold of Russian tsarism in particular was not meant, since such accusations would be a complete anachronism in relation to the king of the thirteenth century of Georgia, but it is conceivable that the writer was reproached for presenting Dimitri as an ideal monarch and, therefore, for the possible support of the idea of monarchism, which, from a man of liberal values, as Ilya Chavchavadze was publicly considered at that time, seemed unexpected and even outrageous (therefore it is conceivable that "tsarism" should mean monarchism in this context). All the more, it should be taken into account that the 1870s are really the time when the ideas of liberalism, republicanism, and socialism are becoming more and more firmly established in the world, which at that time will gradually find a noticeable spread in Georgia as well.

However, despite the fact that Ilya Chavchavadze at the very beginning of his poem presents the image of an exemplary king, the hero seems to be deprived of special royal characteristics and, above all, is painted as a selfless person devoted to his homeland and native people, whose thoughtful choice and irrevocable, indomitable action lead to his recognition as a saint.

Almost ten years after the text of the long poem was printed, in 1886, Ilya Chavchavadze's article was printed in the "Iveria" newspaper, which refers to the martyred king Luarsab and mentions his merits.

The article about the king of Kartli, Luarsab the Martyr (1592-1622), noticeably responds to the poem "King Dimitri Devoted" and finds a lot in common with it.

According to the long poem, King Dimitri certainly follows the call of Christ, but he expresses his loyalty and even confirms this loyalty by his dedication to his people, however, unlike the text of the poem itself, at the end of his life, in his autobiography, Ilya Chavchavadze, while mentioning his own work, believes that

Dimitri's contribution to the benefit and protection of the homeland and religion is very important for him.

It is also worth noting that, if Dimitri II is shown as an exemplary and outstanding king in the poem, the royal qualities of Luarsab II are not seen in the article, – his royal activities are not described or evaluated anywhere, while the author's decisive attention is paid to presenting him as a martyr.